

თემურ ხუციშვილი    კახა შენგელა

მარიამ ციხაძე    შალვა მაჭავარიანი



## შატბერდის მონასტერი

მასალები, იდენტიფიკაცია,  
კვლევის კერძოპროექტები



ISBN - 99940-861-1-1

**შატბერდის მონასტერი**  
**მასალები, იდენტიფიკაცია, კვლევის**  
**პერსპექტივები**

**SHATBERDI MONASTERY**  
**Materials, Identification, Prospects of Studies**



**Temur Khutsishvili      Kakha Shengelia**  
**Mariam Tsibadze      Shalva Machavariani**

**SHATBERDI MONASTERY**  
**Materials, Identification, Prospects of Studies**

**Caucasus University Publishing House**  
**Tbilisi 2006**

თემურ ხუციშვილი კახა შენგელია  
მარიამ ციხაძე შალვა მაჭავარიანი

**შატბერდის მონასტერი**  
**მასალები, იდენტიფიკაცია, კვლევის**  
**პერსპექტივები**

კავკასიის უნივერსიტეტის გამომცემლობა  
თბილისი – 2006



რედაქტორი: დოქტორი თ. ბერიძე

წინამდებარე ნაშრომში თავმოყრილია მასალები IX საუკუნეში გრიგოლ ხანძთელის მიერ აგებულ შატბერდის ღვთისმშობლის მონასტრის შესახებ. განხილულია შატბერდის მონასტრის იდენტიფიკაციის საკითხი და კვლევის პერსპექტივები.

ნაშრომის პირველი ვერსია სტატიის სახით გამოქვეყნდა თბილისის ილია ჭავჭავაძის სახ. ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის სამეცნიერო შრომათა კრებულში- „საისტორიო შტუდიები“, V, 2004.

გარეკანის პირველ გვერდზე: შატბერდის მონასტრის ღვთისმშობლის ტაძრის საკურთხევლის აბსიდი და სამხრეთის მკლავი, მთაზე ბოსელთას ციხე.

ბოლო გვერდზე: შატბერდის მონასტრის ღვთისმშობლის ტაძრის სამხრეთის მკლავი.

ინგლისურად თარგმნა: ხათუნა ბასილაშვილმა

საგამომცემლო ჯგუფი: გიორგი ჟღენტი, თემურ ჩოხელი

გამოყენებულია: თემურ ხუციშვილის, ვიქტორია შტორმის, კახა შენგელიას, შალვა მაჭავარიანის, მაკა ციბაძის, მანანა ასპანიძის ფოტოსურათები.

© თემურ ხუციშვილი, კახა შენგელია, მარიამ ციბაძე, შალვა მაჭავარიანი, 2006

© კავკასიის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2006

ISBN - 99940-861-1-1

## შატბერდის მონასტრის ღაბრესების ისტორია

ცნობილია, რომ თურქეთის რესპუბლიკის ჩრდილო-აღმოსავლეთით, დღევანდელი ართვინის (Artvin), ერზურუმის (Erzurum), არტანის (Ardahan) და ყარსის (Kars) რაიონებში, მდებარეობდა ისტორიული საქართველოს მხარეები: ტაო, სპერი, თორთომი, კლარჯეთი, ლიგანის ხევი, შავშეთი, არტანი და კოლა, აგრეთვე, სამცხის, ერუშეთის და ჯავახეთის ნაწილი. ამ რეგიონში დღემდე შემორჩენილი ქართული წარმოშობის ორასამდე მონასტრის, ეკლესიისა, ციხისა თუ კოშკის ნაშთები, მათ შორის ისეთი სახელგანთქმული ძეგლები, როგორცაა ოშკი, ხახული, ოთხთა, პარხალი, ბანა, იშხანი, ტბეთი, ხანძთა, ოპიზა, დოლისყანა, შატბერდი, არტანუჯი... (იხ. რუკა №1).

VIII საუკუნეში ცენტრალურ ქართლში არაბების ბატონობის გამო ქართლის კულტურული და პოლიტიკური ცენტრი აშოტ I კურაპალატის ინიციატივით ბიზანტიასთან ახლოს, კლარჯეთში ინაცვლებს.<sup>1</sup> (იხ. რუკა №2).

VIII-IX სს. არაბებს გამორიდებული გრიგოლ ხანძთელი და მისი მოწაფეები კლარჯეთში იწყებენ ეკლესიებისა და მონასტრების ფართომასშტაბიან მშენებლობას („კლარჯეთის ათორმეტი უდაბნო“).

პირველწყარო კლარჯეთის უდაბნოების ისტორიის შესწავლისათვის არის გიორგი მერჩულეს „შრომაჲ და მოღუაწებაჲ ღირსად-ცხორებისაჲ... გრიგოლისი არქიმანდრიტისაჲ, ხანცთისა და შატბერდის აღმაშენებლისაჲ“.

„შრომაჲ“ 951 წელსაა დაწერილი. მის XII ს.-ში გადაწერილ ვარიანტს 1845 წელს პაღესტინაში, ჯვრის მონასტერში მიაკვლია ლექსიკოგრაფმა ნიკო ჩუბინაშვილმა.

---

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II წიგნი, თხზულებანი 12 ტომად., ტ. II, 1983 წ., გვ. 93.

1902 წელს ნიკო მარმა ეს ხელნაწერი აღწერა და მეცნიერულად გამოსცა.<sup>2</sup>

შატბერდის და ხანძთის მონასტრების აღმშენებელი უშუალოდ გრიგოლ ხანძთელია.

ლ. მენაბდის შეფასებით, ოპიზასთან ერთად ხანძთის მონასტერი მთელი კლარჯეთის „სამონასტრო კოლონიზაციის საყრდენი ბაზა იყო“.<sup>3</sup> ხანძთის მონასტრის მიდამოები მცირეშიწიანი და მწირია:

„...ხოლო სათესავი ყანად და სათიბელი ქუეყანად რადთურთით არა არს, არცა იქმნების ღირლოლოვანთა მათ ფიცხელთა მწუერვალთა მათ დადოსათა“<sup>4</sup>

აშოტ კურაპალატმა, იცოდა რა, გრიგოლ ხანძთელის მოღვაწეობის მნიშვნელობა, ქართული სახელმწიფოს შენების საქმეში, სათანადოდ დააფასა მისი საქმიანობა:

„შეწირნა ადგილნი კეთილნი და შატბერდისა ადგილი აგარაკად ხანძთისა“.<sup>5</sup>

აშოტ კურაპალატის მკვლევლობის შემდეგ (826 წ.), შატბერდის მონასტრის მშენებლობა აშოტის ძემ, ბაგრატ კურაპალატმა ითავა გრიგოლ ხანძთელის რჩევით:

„აწ ამას ვითხოვ შენგან: არს აშოტ კურაპალატისა შეწირული აგარაკი ხანძთას და იქმნების კეთილად მონასტრად. უკუეთუ მიბრძანოს მეფობამან შენმან, აღვაშენო სადიდებლად ღმრთისა და საცხორებლად სულისა შენისა“...

„სიხარულით უბრძანა ბაგრატ კურაპალატმან შენებად მისი და მისცა ყოველივე საჭმარი საშენებლად. და რაჟამს მივიდა ნეტარი მამად გრიგოლ შატბერდს... ჯუარი დასწერა ადგილსა მას ჩინებულსა და იწყეს საქმედ ეკლესიისა და სენაკებსაცა“.<sup>6</sup>

---

<sup>2</sup> Георгий Мерчуле, Жизнь св. Григория Хандзтийского, перевод Н. Марра, МАК, вып. VII, С.Пет. 1911.

<sup>3</sup> ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ. I, ნაკვ. II, თბ., 1962, გვ. 396.

<sup>4</sup> გიორგი მერჩულე, შრომად და მოღვაწეობად... გრიგოლისი..., ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტ. ძეგლები, წიგნი I, (V-X სს.), ი. აბულაძის რედაქციით, თბ., 1963, გვ. 262.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 262.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 273.



შატბერდის მონასტერი ღვთისმშობლის სახელზე ეკურთხა, რაც ჩანს შატბერდის კრებულის იოანე ბერაისეულ ანდერძში.

„მე ცოდვილი... იოვანე ბერაი, და გავასრულე წმიდად ესე წიგნი... მოღუაწებითა... ღვდის ძმისა ჩემისა მიქაელისა და ძმისა ჩემისა დავითისითა... შევწირე] [შატბერდს საყოფელსა წმიდისა [ღ-თისმშობლისასა] რომელსაცა შინა აღვიზარდე... სალოცველად მეფეთა [ჩუენთა] ბაგრატ მეფისა და ყოველთა შეილთა] მათათჳს...“<sup>7</sup>

გრიგოლ ხანძთელისა და მისი მოწაფეების მიერ აგებულ თუ განახლებულ მონასტრებს, კლარჯეთის თორმეტ სავანეს, მათი განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო „საქართველოს სინაჲ“ ეწოდა. შატბერდი მათშიც გამორჩეული იყო. გიორგი მერჩულეს სიტყვებით:

„არს იგი სიქადულ ყოლადგე მახლობელთა მონასტერთა“.<sup>8</sup>

---

<sup>7</sup>ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექციისა, ტ. II, SN№1141, ე. მეტრეველის რედაქციით, თბ. 1961. გვ. 39. ასევე თ. უორდანი, ქრონიკები, ტ. 1, ტფილისი, 1892, გვ. 102.

<sup>8</sup> გიორგი მერჩულე, შრომაჲ და მოღუაწებაჲ... გრიგოლისი..., ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტ. ძეგლები, წიგნი I, (V-X სს.), ი. აბულაძის რედაქციით, თბ., 1963, გვ. 313.

## შატბერდი – მწიბნობრობის დიდი კერა

აკად. კ. კეკელიძე მიიჩნევდა, რომ „...უდიდესი ნაწილი იმ საგანძურისა, რაც ჩვენ მოგვეპოვება მეცხრე-მეათე საუკუნიდან, შექმნილია ამ [ტაო-კლარჯეთის] მონასტრებში. აქ ჩამოყალიბდა საგანგებო ტაო-კლარჯეთის სალიტერატურო სკოლა,... ეროვნულ ნიადაგზე აღმოცენებული, რომელმაც შეიმუშავა თავისი საკუთარი გრამატიკა, ენა, ხელი და მიმართულება. ქართველთა შემოქმედებითი ენერგია იმდენად გაიზარდა ამ მონასტრებში, რომ ტაო-კლარჯეთის საზღვრებში ის ვეღარ დაეტია,... გადმოვიდა თავის კალაპოტიდან და ფართო ნაკადით გადავიდა მცირე აზიის სხვადასხვა პუნქტებში და მერე ათონის ნახევარკუნძულზე, სადაც მან შექმნა ჩვენი მწერლობის ახალი ცენტრი ივერიის მონასტრის სახით. ათონის სამონასტრო და სალიტერატურო წრე თავდაპირველად წარმოადგენდა ვეებერთელა ტაო-კლარჯეთის საეკლესიო ხის ერთ შტოს“.<sup>9</sup>

შატბერდში, და საზოგადოდ ტაო-კლარჯეთში, IX-X სს. წარმოებულმა სასულიერო, მთარგმნელობითმა და სამწერლო მოღვაწეობამ მნიშვნელოვანწილად შეამზადა იდეოლოგიური საფუძველი საქართველოს ოქროს ხანად წოდებულ XI-XII სს. დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოს შექმნისათვის.

შატბერდი იყო უმნიშვნელოვანესი რელიგიური და მწიგნობრობის კერა. აკად. ა. შანიძე სამართლიანად შენიშნავს, რომ აქედან ვრცელდებოდა ქართული წიგნები „...არა მარტო ჭოროხის ხეობისა და მტკვრის სათავის ქართულ პროვინციებში, არამედ... საქართველოს სხვა კუთხეებშიც“<sup>10</sup>

---

<sup>9</sup> კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ძველი მწერლობა, ტომი პირველი, 1941, გვ. 88-89.

<sup>10</sup> ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით, გამოსცა ა. შანიძემ, 1945 წ., გვ. 012

აკად. ნ. მარის სიტყვებით „შატბერდმა... ნიადაგი შეამზადა საქართველოს დასავლეთთან, ბიზანტიის კულტურასთან დასახლოებლად და ამავე დროს ინარჩუნებდა და აღორძინებდა ძველ კავშირებს ქართული აზრისას სომხურთან და საერთოდ აღმოსავლურთან. ...ამ ლიტერატურულმა ცენტრმა ნაყოფიერი როლი ითამაშა საქართველოს შემდგომ კულტურულ აღმავლობაში.“<sup>11</sup>

შატბერდში დაიწერა „შატბერდის კრებული“, გადაიწერა ადიშის (897 წ.), ჯრუჭის (936 წ.), პარხლის (973 წ.) ოთხთავები; შემონახულთაგან უძველესი „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ (IX ს.) და სხვა, საქართველოსა თუ საზღვარგარეთის სიძველეთა საცავებში დღემდე შემონახული ფასდაუდებელი ხელნაწერები.

#### შატბერდის კრებული (973-976 წწ.):

თ. ჟორდანიას აღწერით, კრებული შეიცავს 15 ორიგინალურსა თუ თარგმნილ თხზულებას. „973 წ. ახლომახლო დროებში უნდა იყოს დაწერილი... შატბერდის კრებული, ალექსი მესხიშვილის მიერ წერა-კითხ. საზოგადოებისადმი შემოწირული (№1141) ტყავის ხელნაწერი ორ სვეტად, in folio, გვ. 1-581; ამათში 1-256 ასომთავრულად... დაწერილი და დანარჩენი ხუცურ ნუსხა ხელით; ...ხელნაწერში მოთავსებულია... საკითხავები: შესაქმე 30 თავად, ... ეპიფანე კვიციანისა „ათორმეტთა თჳალთათჳს“, ... ბასილი კესარიელ ეპისკოპოსისა „მკვეცთათჳს სახისა სიტყუად წიგნთაგან“, ... შემოკლებული ისტორია ძველის აღქმისა, ... იპოლიტეს განმარტებანი კურთხევათათჳს, ... მოქცევაჲ ქართლისაჲ, ... ცხოვრება იაკობ ნისიბელისა, ... „თარგმანებაჲ დავითის ფსალმუნებისჲ ეპიფანე კვიციანისა“.<sup>12</sup>

კრებულს ახლავს ანდერძი, საიდანაც ირკვევა, რომ იგი ცნობილი კალიგრაფის იოანე ბერაის გადაწერილია (იხ. გვ. 7).

---

<sup>11</sup> Н. Марр. Дневник поездки в Шавшию и Кларджию. МАК. вып. VII, С.Пет. 1911, გვ. 139.

<sup>12</sup> თ. ჟორდანიას, ქრონიკები, ტ. I, 1892 წ. გვ. 99.

კრებულის მინაწერები ისტორიულ ცნობებსაც გვაწვდიან. კრებულის პირველ გვერდზე არის X ს.-ის მხედრული წარწერა:

„ჩ ტე ... ადიდე ... ეე [ერისთავთ ერისთავი] კ კე [კახეთის მეფე კვირიკე III] რ ლისა ბრძანებით... შეიმოსა წიგნი ესე კელითა მიქ ლისითა“.<sup>13</sup>

„...კვირიკე შატბერდზე... ზრუნავს... ტაო-კლარჯეთში ცხოვრობს, იქ არის გადასახლებული (მას შემდეგ რაც ბაგრატ მეფემ 997 წ. კახეთი დაიმორჩილა და „წარმოიყვანა კვირიკე და დაიმჭირა თვისსა კარსა ზედა“.<sup>14</sup>

იოანე ბერაის გადაწერილ ამ კრებულს (SN<sup>o</sup>1141) ექვთიმე თაყაიშვილმა „შატბერდის კრებული“ უწოდა. მასში თავმოყრილი მრავალი თარგმნილი თუ ორიგინალური ძეგლი 973-976 წწ. პერიოდშია დაწერილი ან გადაწერილი.

#### **ადიშის ოთხთავი (897 წ.)**

ხელნაწერი ბოლოს ინახებოდა სოფ. ადიშის ეკლესიაში (რის გამოც მას ადიშის ოთხთავი ეწოდა). ამჟამად დაცულია მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. ადიშის ოთხთავზე დიდძალი ლიტერატურაა გამოცემული.<sup>15</sup> ხელნაწერი დაათარღიდა აკად. კ. კეკელიძემ.<sup>16</sup> ოთხთავის მომგებლად ითვლება სოფრონ შატბერდელი (იხ. გვ. 16). ოთხთავი თარგმნილია ლათინურადაც.<sup>17</sup>

#### **ჯრუჭის ოთხთავი (936 წ.)**

ოთხთავი გაბრიელ შატბერდელს გადაუწერია გრიგოლ მირდატის ძის დაკვეთით. მინაწერი გვამცნობს:

---

<sup>13</sup> ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, S კოლექცია, ტ. II, №1141, მინაწერი, გვ. 40.

<sup>14</sup> თ. ჟორდანიას, ქრონიკები, ტ. I, ტფილისი, 1892, გვ. 107.

<sup>15</sup> ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ. I, ნაკვ. II, თბ., 1962, გვ. 415.

<sup>16</sup> ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდელი ხელნაწერის მიხედვით, გამოსცა ა. შანიძემ, 1945 წ., გვ. 012

<sup>17</sup> Molitor J., Das Adysh-Tetraevangelium. New Übersetzt und mit altgeorgischen Paralleltexten Verglichen, OC, 37 (1953).

„ღირს ვიქმენ მე გრიგოლ დაწერად წაჲ ესე სახარებაჲ კელითა გაბრიელ მღვდელთა ნარჩევისაჲთა. ...დაიწერა შატბერდს კელითა უცბად მხსრეკელისა გაბრიელისითა მეფისა ჩემისა სუმბატის სალოცველად. ...დასაბამითგან წელნი იყვნეს :ხვამ:...”<sup>18</sup>

ეს ხელნაწერი ოსმალთა ტყვეობიდან დაუხსნია ქ. ხოროსანში იოანე არწიშვილს, უკანასკნელად ინახებოდა ჯრუჭის მონასტერში, საიდანაც 1920წ. ჩამოიტანა ე. თაყაიშვილმა. აწ დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტში, H №1660.<sup>19</sup> (იხ. სურ. №1).

### **პარხლის ოთხთავი (973 წ.)**

გადაწერილია შატბერდში ცნობილი კალიგრაფის იოანე ბერაის მიერ პარხლის მონასტრისთვის:

„მე, ივანე-ბერამან, მწერალმან შატბერდელმან, შატბერდს დავწერე და პარხალს შევწირე სალოცველად ყოველთა ძმათა შატბერდელთა“.<sup>20</sup>

ხელნაწერი ოსმალთა ტყვეობიდან დაიხსნა ვახუშტი აბაშიძემ. 1889 წ. ოთხთავი აღმოაჩინა ე. თაყაიშვილმა ზემო ჭალაში. 1922წ. ხელნაწერი შესაძენად მიუტანეს გერმანიის კონსულს თბილისში ფონ ვესენდონკს (O.G.von Wesendonk), რომელმაც ღირებულების დასადგენად უნივერსიტეტში მიიტანა და აქ კ. კეკელიძემ და ა. შანიძემ დაატოვებინეს. ახლა ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტში (AN №1453).<sup>21</sup>

### **„მოქცევაჲ ქართლისაჲ“**

ქართველთა განმანათლებლის, წმ. ნინოს ცხოვრების ყველაზე ძველი რედაქცია შემონახულია შატბერდის კრებულში მოთავსებულ თხზულებაში - „მოქცევაჲ ქართლისაჲ“. „ამ ძველ რედაქციას... უწოდებენ

<sup>18</sup> თ. ჟორდანი, ქრონიკები, ტ. 1, ტფილისი, 1892, გვ. 89.

<sup>19</sup> ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ. I, ნაკვ. II, თბ., 1962, გვ. 421-422.

<sup>20</sup> ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა, აღ. ბარამიძის რედაქციით, ტ. V, 1955 წ. AN №1453, პარხლის ოთხთავი. 973 წ. ანდერძი 2, გვ.3.

<sup>21</sup> ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ. I, ნაკვ. II, თბ., 1962, გვ. 416-417.

შატბერდულ-ჭელოშურ რედაქციას. კ. კეკელიძისა და ა. ბარამიძის აზრით, ...ეს კრებული შედგენილია არა უადრეს მეცხრე საუკუნისა, დაახლოებით მის უკანასკნელ მეოთხედში. შედგენილია ტაო-კლარჯეთში, შატბერდის მონასტრის მოღვაწის მიერ“.<sup>22</sup>

შატბერდში გადაწერილად ითვლება: ახალგორის ეკლესიაში დ. ბაქრაძის ნაპოვნი ქსნის ოთხთავი (ქხა, AN<sup>o</sup>509, სავარაუდოდ მე-9-10 სს)<sup>23</sup>, გურიაში, უდაბნოს სავანეში 1873წ. დ. ბაქრაძის ნაპოვნი ჰომილეტიკური კრებული – უდაბნოს მრავალთავი (ქხა, AN<sup>o</sup>1109, გადაწერილი მე-10ს-ში)<sup>24</sup>, მოსე ხანძთელის მიერ 1085წ. „დიდებულსა ლავრას შატბერდისათჳს“ გადაწერილი „საწელიწადო საწინასწარმეტყველო“ (ქხა, HN<sup>o</sup>1350), პ. კარბელაშვილმა<sup>25</sup> და ა. ხახანაშვილმა<sup>26</sup> სვანეთში ნახეს XII-XIII სს. ხელნაწერი გამოკრეფილი საკითხავები (ქხა S-N<sup>o</sup>4939), რომლის ანდერძი ასე იკითხება:

„ადიდენ ღმერთმან სული გიორგი მამამთავრისა, მროელისა... ბრძანებითა მათისა აღიწერნეს ესე ლავრასა დიდსა შატბერდსა“.<sup>27</sup>

საინტერესოა, რომ XII-XIII სს.-ებში შატბერდი კვლავ დიდ ლავრად მოიხსენიება.

---

<sup>22</sup> კ. კეკელიძე, ა. ბარამიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, (V-XVIII სს.), თბილისი, 1969 წ. გვ. 85-89.

<sup>23</sup> ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ. I, ნაკვ. II, თბ., 1962, გვ. 421.

<sup>24</sup> ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია ლენხუმ-სვანეთში 1910 წელს., პარიზი, 1937, გვ. 309.

<sup>25</sup> პ. კარბელაშვილი, სვანეთში ორი კვირით, „ივერია“, 1903 წ., №236.

<sup>26</sup> А. Хаханов, Сванетские рукописные евангелия, МАК, X, 1904, დამატება, გვ. 22.

<sup>27</sup> საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ძველ ხელნაწერთა საცავების გზამკვლევი, თბ., 1951 წ. გვ. 80.



## შატბერდში მოღვაწე მამები

IX-XI სს. შატბერდში მოღვაწეობდნენ საეკლესიო მამები და მწიგნობრები, რომლებიც ცნობილნი იყვნენ არა მარტო ქართულ, არამედ ბიზანტიასა და აღმოსავლეთის ქრისტიანულ სამყაროშიც.

შატბერდში მოღვაწეთაგან უპირველესი მისი აღმშენებელი წმ. მამა გრიგოლ ხანძთელია. შატბერდი მას განსაკუთრებულად უყვარდა და

„უმრავლესთა დღეთა შატბერდს იყოფინ“<sup>28</sup>.

გრიგოლმა სიცოცხლის ბოლო წლები აქ გაატარა. ცნობილია, რომ როდესაც ხანძთელმა ბერებმა ღრმად მოხუცებულ გრიგოლს ხანძთის მონასტერში წაყვანა დაუპირეს. იგი

„შვიდა წმიდად ეკლესიად და ცრემლით თავი თვის დაჰვედრა მას“<sup>29</sup>.

ხოლო შემდეგ წმინდა მამა ასე დაემშვიდობა მის უსაყვარლეს საგანეს:

„...და მერმე შატბერდსა ჯუარი დასწერა და ჰრქუა: კეთილად აღორძინდი შატბერდო. ... არღარა იხილო პირი ჩემი ვორციელად. ... აწ დადაცათუ ვორცითა განგეშორები, ხოლო სულითა მარადის შენ თანა ვარ ...“<sup>30</sup>

შატბერდის საგანეში დაუწყია მოღვაწეობა იოანე ზოსიმეს (X ს.). პავლე ინგოროყვას სიტყვებით: „ეს ირკვევა იოანე ზოსიმეს ერთი ჰიმნოგრაფიული კრებულის ანდერძის მიხედვით. ... შემდეგ [იოანე-ზოსიმე] გადასულა იერუსალიმში. ... უფრო გვიან იგი გადადის სინას მთის ქართულ კოლონიაში“<sup>31</sup>.

პ. ინგოროყვას მხედველობაში აქვს იოვანე-ზოსიმეს ანდერძი X ს. ლიტერატურული კრებულიდან

---

<sup>28</sup> გიორგი მერჩულე, შრომაჲ და მოღვაწეობაჲ... გრიგოლისი..., ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტ. ძეგლები, წიგნი I, (V-X სს.), ი. აბულაძის რედაქციით, თბ., 1963, გვ. 308.

<sup>29</sup> იქვე, გვ. 310.

<sup>30</sup> იქვე, გვ. 310.

<sup>31</sup> პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბ., 1954, გვ.352

(შემდგენელი და რედაქტორი იოვანე-ზოსიმეა). ანდერძი ახლავს კრებულის თხზულებას „ღამისა ჟამთა...“.

„აწ ესე ნიშნები ზედა ღამიც სასწავლელად... რომელ მიწყებით განწესებულთა ჟამთანი არიან ფსალმუნნი და კანონი და ზედა ლოცვანი, რომელსა შატბერდელნი დაყუდებულნი ცხადად ილოცვენ“.<sup>32</sup>

აქვე მოღვაწეობდა მიქაელ მოდრეკილი (X ს.), რომლის მიერ შედგენილ საგალობელთა კრებულს თედო ჟორდანია ასე ახასიათებს:

„ამისთანა ძველი და უცხო კრება საგალობელთა არა ვგონებ მეორე მოიპოვებოდეს ევროპიელთ მუზეუმებში ...“<sup>33</sup>

აკად. კ. კეკელიძის აზრით მიქაელ მოდრეკილის ჰიმნები „პოეტური აღმაფრენით და საღვთისმეტყველო სპეკულაციის სიღრმე-სიღიადით, ასევე სტილის სიღამაზითა და მოხდენილობით, არაჩვეულებრივ მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს ჩვენს მწერლობაში“.<sup>34</sup>

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კ. კეკელიძე მიქაელ მოდრეკილს არ თვლიდა შატბერდელ მოღვაწედ. მისი აზრით „...მიქელ მოდრეკილი არის ის მიქელი, ძე იოანე ვარაზგაჩესი და ძმა ექვთიმე ათონელისა, რომელიც 978 წელს ოშკის ლავრაში ჩანს და რომელიც მოხსენებულა ათონის ბიბლიის ანდერძში ამნაირად: „მიქელ ძე ვარაზგაჩესი. დიდი სიტკბოებად მიჩუენეს ამის წიგნის შრომასა“. ... ამრიგად მიქელ მოდრეკილი არის ოშკის მოღვაწე...“.<sup>35</sup>

დიდ ქართველ ჰიმნოგრაფს, მიქაელ მოდრეკილს ახსენებს მისი დისწული, კალიგრაფი იოანე ბერაი „შატბერდის კრებულის“ ანდერძში. (იხ. ზემოთ. გვ. 11):

ცალკე აღნიშვნის ღირსია დიდი საეკლესიო მოღვაწის გიორგი მთაწმინდელის (XI ს.) მიმართება შატბერდის მონასტერთან. გიორგი მთაწმინდელი საეკლესიო

---

<sup>32</sup> ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, სინური კოლექცია, ტომი I, №34, დამატება I, 3, შნშ. 2. გვ. 132.

<sup>33</sup> თ. ჟორდანია, ქრონიკები, ტ. 1, ტფილისი, 1892, გვ. 111.

<sup>34</sup> კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ძველი მწერლობა, ტომი პირველი, 1941, გვ. 157.

<sup>35</sup> იქვე, გვ. 157.

საქმეების მოსაგვარებლად ქართველთა მეფემ ბაგრატ IV-მ, XI ს.-ის შუა წლებში ათონიდან მოიწვია.

ბაგრატ IV გიორგი მთაწმინდელს განსაკუთრებულ პატივს მიაგებდა:

„შემდგომად ზამთრისა აღმო-რად-ვიდა ღმრის-მსახური მეფე კუალად ქართლადგე, მოუწოდა ბერსა [გიორგი მთაწმინდელს] წინაშე მისსა და მისცნა ადგილნი შუენიერნი, ლავრანი დიდებულნი განსასუენებლად და საყოფელად მისა, პირველად ნებჲ ქართლს შინა და შემდგომად მცირედისა შატბერდი, დიდებული ლავრაჲ კლარჯეთს შინა“<sup>36</sup>

შატბერდში მოღვაწე მამებიდან გამორჩეული იყო სოფრონ შატბერდელი. გიორგი მერჩულე მას დიდ სოფრონად იხსენიებს:

„...დიდი სოფრონ ...შატბერდისა ეკლესიისა განახლებით აღმაშენებელი და უკუნისამდე გურგუნი მისი“<sup>37</sup>

სოფრონი „ადიშის ოთხოავის“ მომგებელიცაა და შატბერდის მონატრის განმაახლებელიც X ს.-ის I ნახევარში.

შატბერდელ მოღვაწეთა შორის ყურადღების იმსახურებენ X-XI სს. სახელგანთქმული კალიგრაფები და გადაშწერები იოანე ბერაი, გრიგოლ ვაჩეძორელი, დავით და იოანე ჯიბისძენი.

---

<sup>36</sup> გიორგი მცირე, ცხოვრებაჲ... გიორგი მთაწმინდელისაჲ, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტ. ძეგლები, წიგნი II (XI-XV სს.), ი. აბულაძის რედაქციით, თბ., 1967. გვ. 161, იხ. აგრეთვე. ათონის ივერთა მონასტრის 1074 წ. ხელნაწერი აღაპებით, თბ., 1901 წ., გვ. 320

<sup>37</sup> გიორგი მერჩულე, შრომაჲ და მოღუაწებაჲ... გრიგოლისი..., ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტ. ძეგლები, წიგნი I, (V-X სს.), ი. აბულაძის რედაქციით, თბ., 1963, გვ. 294.

## სამონასტრო ცხოვრების მოშლა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში

XI საუკუნიდან საქართველოში რელიგიური და კულტურული ცენტრები შიგა რაიონებისაკენ და საზღვარგარეთ ინაცვლებს.

პოლიტიკური სიტუაციის შეცვლის გამო, ჯერ თურქ-სელჯუკებისა, ხოლო შემდეგ მონღოლების შემოსევის შედეგად, საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ მხარეები განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში ვარდება, თუმცა შატბერდი XIII ს-შიც კვლავ დიდებულ ლავრად მოიხსენიება (იხ. ზემოთ, გვ. 14).

XIV ს.-დან შატბერდის მონასტერში ცხოვრება მინავლდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ბერები იქ მაინც ცხოვრობდნენ. ამას ადასტურებს XV-XVI სს.-ებით დათარიღებული მხედრული მინაწერი ყოფილი საეკლესიო მუზეუმის A კოლექციის №484 ხელნაწერისა (ალავერდის ოთხთავი, 1054 წ.):

**„ოპიზის დეკანოზს იოსებს, შატბერდის დეკანოზს თომას შეუნდნენ დმერთმან...“<sup>38</sup>**

XVI საუკუნის 50-იანი წლებიდან ეს მხარეები ოსმალური თურქეთის სახელმწიფოშია, მიუხედავად ამისა ტაო-კლარჯეთის ზოგიერთ მონასტერში საეკლესიო მოღვაწეობა XVII საუკუნის შუახანებამდე გრძელდება. ქართულ ხელნაწერთა S კოლექციაში დაცული 1650 წელს დაწერილი ხელნაწერის მიხედვით:

**„ქ-კს ტლმ [1650 წ] აქა საფრიდეს მტბევარს იშხნელობა და მაწყვერლობა მოუვიდა ხვანთქრისაგან“<sup>39</sup>**

XVII ს. ბოლოდან, როგორც ჩანს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მონასტრებსა და ეკლესიებში ცხოვრება ისპობა.

---

<sup>38</sup> ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა, ტ. II (I), 9v, №484, თბ. 1986, გვ. 215.

<sup>39</sup> ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექცია, №252, ასევე თ. ჟორდანიას, ქრონიკები, ტ. II, 1897, გვ. 475.

## შატბერდის ლოკალიზაციის მცდელობა XIX-XX სს.-ებში

XIX საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში თურქეთში, ართვინისა და არტანის რაიონებში იმოგზაურეს დ. ბაქრაძემ და გ. ყაზბეგმა. ამით დაიწყო საუკუნეების განმავლობაში მივიწყებული ქართული ქრისტიანული არქიტექტურის ძეგლების კვლევა.

XIX საუკუნის 70-იანი წლების ბოლოდან ართვინის, არტანისა, ერზრუმისა და ყარსის რაიონები, დანარჩენ საქართველოსთან ერთად, რუსეთის იმპერიის შემადგენლობაშია და რუსეთის მეცნიერებათა აკადემიისა თუ არქეოლოგიური საზოგადოების ეგიდით საქართველოს ამ ისტორიულ მხარეებში ეწეობა ექსპედიციები: გრაფინია პრ. უვაროვას, აკადემიკოსების ა. პავლინოვის, ნ. მარის, ე. თაყაიშვილის და სხვათა მონაწილეობით. ამ ექსპედიციების მასალებზე დაყრდნობით შესაძლებელი გახდა წარსულში ცნობილი ყველა ეკლესიისა თუ მონასტრის მიკვლევა. მხოლოდ შატბერდისა და ხანძთის იდენტიფიკაციის საკითხი რჩებოდა ღიად.

შატბერდის ლოკალიზაციის პრობლემას ასეთი ისტორია აქვს:

1873 წლის მოგზაურობის შემდეგ დიმიტრი ბაქრაძემ გამოთქვა მოსაზრება: „შატბერდად უნდა იგულისხმებოდეს თვით ლოდის-ყანა (დოლისყანა), თუმცა ახლა, როგორც მე აღვიღობრივ დავრწმუნდი, ეს სახელი დაკარგულია“.<sup>40</sup> ამჟამად ცნობილია, რომ დოლისყანა არის კლარჯეთის უდაბნოთაგან ერთ-ერთი, მოგვიანებით (X ს.) აშენებული მონასტერი.

თედო ჟორდანიას ასეთ ვარაუდს გამოთქვამს: „...იშხანი მეზობელი მონასტერი იყო პარხალისა და... ალბათ შატბერდ-ხანძოეთისადა... თუ თუთ იოანე ბერმაც

---

<sup>40</sup> დ. ბაქრაძე, ვახუშტი, საქართველოს ისტორია (განმარტებული... დ. ბაქრაძის მიერ), ტფილისი, 1885, გვ. 130.

შატბერდს დაწერილი პარხალს შესწირა, საგულისხმოა, რომ შატბერდი შორს არ უნდა იყოს პარხალიდან<sup>41</sup>

ამრიგად, თ. ჟორდანიას ვარაუდით, შატბერდი არტანუჯსა და პარხალს შორის უნდა მდებარეობდეს.

1904 წელს აკად. ნიკო მარი ატარებს ტაო-კლარჯეთის შემსწავლელ მასშტაბურ ექსპედიციას. ნიკო მარი ქვემო ფორთაში (Y. Porta) მდებარე სამონასტრო კომპლექსს შატბერდთან აიგივებს: „...აქ (ქვემო ფორთაში)... პირველივე შთაბეჭდილება ისეთი მქონდა, რომ ვიმყოფები ძველ სავანეში – შატბერდში, მიუხედავად მისი გვიანდელი მოპირკეთებისა... აქ შევიგრძენი ისეთი სიახლოვე ამ მიყრუებული კუთხის წარსულის რეალობისა, რომ არ გამიკვირდებოდა თვით გრიგოლ ხანძთელი რომ გამომცხადებოდა პასუხით კითხვაზე, რომელმაც აქ მომიყვანა: სადაა შატბერდი?... შატბერდში (ამიერიდან ასე ვუწოდებ ქვემო ფორთას) არაა სწორი ადგილი. თითოეული ნაგებობისთვის და თვით ბაღებისთვისაც კი... უნდა გაკეთდეს ტერასები“<sup>42</sup>

ექვთიმე თაყაიშვილმა, რომელმაც XX საუკუნის დასაწყისში ტაო-კლარჯეთისა და კოლა-არტანის შემსწავლელ სამ ექსპედიციაში მიიღო მონაწილეობა, გაიზიარა ნიკო მარის მოსაზრება და ქვემო ფორთის მონასტერი შატბერდად მიიჩნია.<sup>43</sup>

ხანძთის მონასტერი შატბერდად მიიჩნია აკად. ივ. ჯავახიშვილმაც. 1923 წელს მისი რედაქტორობით გამოსულ საქართველოს ისტორიულ რუკაზე ხანძთის მონასტერს შატბერდი აწერია, ხოლო ხანძთა მითითებულია მის ჩრდილოეთით, კარჩხალის მთასთან.

---

<sup>41</sup> თ. ჟორდანია, ქრონიკები, ტ. 1, ტფილისი, 1892, გვ. 98.

<sup>42</sup> Н. Марр. Дневник поездки в Шавшию и Кларджию. МАК. вып. МШШ, С.Пет. 1911, гв. 139-142.

<sup>43</sup> ე. თაყაიშვილი, ემიგრანტული ნაშრომები, ტ.1, „სამუსულმანო საქართველო“, „მეცნიერება“, თბ., 1991, გვ. 220.



ამჟამად უკვე დადგენილ ფაქტად ითვლება, რომ ქვემო ფორთაში არსებული მონასტერი ხანძთაა.<sup>44</sup>

ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ გიორგი მეჩუღეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ უმნიშვნელოვანესი პირველწყაროა კლარჯეთის მონასტრების კვლევისათვის. იგივე ითქმის შატბერდის იდენტიფიკაციის საკითხთან დაკავშირებითაც. კერძოდ, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ არის სამი ეპიზოდი, რომლებიც მიგვანიშნებენ შატბერდის მონასტრის ადგილსამყოფელს:

I. მარშრუტი, რომლითაც გრიგოლ ხანძთელმა და მთავართა ოჯახმა – აშოტ კურაპალატის ძეებმა, ბაგრატმა, აღარნასემ და გუარამმა იმოგზაურეს კლარჯეთის სავანეთა მოსანახულებლად არტანუჯიდან:

„...წინა წარმოუძღუა [გრიგოლ ხანძთელი] მთავართა მათ და პირველად მიიყვანნა შატბერდს... და რაჟამს წარმოვიდეს შატბერდით ჳელმწიფენი იგი... მოიწინეს ჳმერკს და ბერთას... და დაბას... თპიზას... და წარემართნეს ხანცთად... მოილოცნეს მიძნადორთჲ, წყაროჲს თავი, და ბარეთელთაჲ და ადგილნი მათნი“.<sup>45</sup>

II. შატბერდის ადგილსამყოფელის მიმართება დანარჩენ მონასტრებთან:

„შატბერდი დაღაცათუ სსუათა მათ უდაბნოთა [კლარჯეთის დანარჩენ უდაბნოებს] მცირედ შორავს...“.<sup>46</sup> (ის. რუკა №2).

ამრიგად, შატბერდი დაშორებულია დანარჩენი მონასტრების ზონას.

III. შატბერდთან სასოფლო-სამეურნეო სავარგულების არსებობა:

---

<sup>44</sup> პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩუღე, თბ., 1954, იხ. აგრეთვე W. Djobadze, Early Medieval Georgian Monasteries in Historic Tao, Klarjeti and Šavšeti, Stuttgart, 1992, ვ. ჯობაძე, ხანძთის წმ. გიორგის მონასტერი, არტანუჯი, 1995, №4.

<sup>45</sup> გიორგი მერჩუღე, შრომაჲ და მოღუაწუებაჲ... გრიგოლისი..., ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტ. ძეგლები, წიგნი I, (V-X სს.), ი. აბულაძის რედაქციით, თბ., 1963, გვ. 275, 276.

<sup>46</sup> იქვე, გვ. 313

[ხანძრისთან] „...სათესავი ყანად და სათიბელი ქუეყანად რადთურთით არა არს... და... შეწირნა [აშოტ კურაპალატმა] ადგილნი კეთილნი და შატბერდისა ადგილი აგარაკად ხანცთისა“.<sup>47</sup> (იხ. სურ. №2).

ამ მასალის ანალიზის შედეგად პავლე ინგოროყვაძე ნაშრომში „გიორგი მერჩულე“ წამოაყენა ჰიპოთეზა შატბერდის არტანუჯის დასავლეთით, სოფ. შაგორას მიდამოებში მდებარეობის შესახებ.<sup>48</sup> ღვაწლმოსილ მამულიშვილს ამ ჰიპოთეზის შემოწმების საშუალება არ ჰქონდა, რადგან ყოფილი ტაო-კლარჯეთი XX საუკუნის 20-იანი წლებიდან თურქეთის ტერიტორიაზე იყო, ხოლო დანარჩენი საქართველო – საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში და ქართველ მეცნიერებს არ ჰქონდათ საშუალება ამ მიწებზე საძიებო სამუშაოების ჩატარებისა.

XX საუკუნის II ნახევრიდან ტაო-კლარჯეთსა და კოლა-არტანში საექსპედიციო-სამეცნიერო სამუშაოებს მხოლოდ დასავლელი მეცნიერები აწარმოებდნენ – ლოს-ანჯელესის (აშშ) უნივერსიტეტის პროფესორი ვ. ჯობაძე, ფრანგი მკვლევარები, დოქტორები ე.-მ. და ნ. ტიერი, ავსტრიელი მეცნიერი, დოქტორი ბ. ბაუმგარტნერი და სხვები.

მათ შორის, შატბერდის თემას პროფ. ვახტანგ ჯობაძე შეეხო: „ჯერჯერობით, არტანუჯისა და იმერხევის ხეობის მიდამოების კვლევისას, ჩემი მოგზაურობის დროს მე ვერ შეეძელი მეპოვა რაიმე ნანგრევების კვალი, რომლებიც შეიძლება იდენტიფიცირებული იყოს შატბერდთან. ამგვარად, ერთადერთი მონასტერი, რომელიც შეესაბამება ხსენებულ მარშრუტს (გრიგოლ ხანძთელისა და მთავართა მოგზაურობა კლარჯეთის საგანეების მოსალოცად), როგორც ჩანს, არის ადგილი,

---

<sup>47</sup> იქვე, გვ. 262

<sup>48</sup> პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბილისი, 1954, გვ. 316-318.

რომელიც დღესდღეობით ცნობილია მისი თანამედროვე სახელით ენი-რაბათი...<sup>49</sup>

XX საუკუნის 90-იანი წლებიდან, საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებისა და თურქეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარების შემდეგ ისტორიულ ტაო-კლარჯეთსა და კოლა-არტანში ქართველ მეცნიერთა და მკვლევართა ახალი თაობის მუშაობა ინტენსიური ხდება. ეწეობა ექსპედიციები, მუშავდება საინფორმაციო და სამეცნიერო ლიტერატურა ქართული წარმოშობის არქიტექტურულ ძეგლებზე.

მოსაზრება შატბერდის ენი-რაბათში მდებარეობის შესახებ გაიზიარა და განავითარა ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორმა დავით ხოშტარიამ: „...ენი-რაბათი ამ მონაცემებს („გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“) ზედმიწევნით შეესაბამება, თუ შატბერდს მის ადგილას ვიფულებთ, გამოდის, რომ არტანუჯიდან დაძრულმა მეფეებმა გაიარეს თხუთმეტიოდე კმ. აღმა არტანუჯისწყლის ხეობაში, მონინახულებს აქ მდებარე მონასტერი, შემდეგ უკან გამობრუნდნენ, კვლავ გაიარეს არტანუჯი და გზა განაგრძეს იმერხევისკენ.<sup>50</sup> ...ენი-რაბათის ეკლესია დგას ფართო ამწვანებულ ხეობაში... ნაყოფიერი მიწითა და საძოვრებით... ზემოთთქმულიდან გამომდინარე... საკმარისი საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ შატბერდი მდებარეობდა ახლანდელი ენი-რაბათის ადგილას.<sup>51</sup> ...ყოველ შემთხვევაში, არტანუჯის მიდამოებში (და საერთოდ კლარჯეთში), სხვაგან არსად ჩანს ნამონასტრალი, რომელიც „დიდებულ ლაგრად“ შეიძლებაოდა მიგვეჩნია. შატბერდი ვრცელი სავანე იყო დიდი ეკლესიით, სატრაპეზოთი, სკრიპტორიუმით, სენაკებით და სხვა ნაგებობებით. ძნელი წარმოსადგენია

---

<sup>49</sup> W. Djobadze, Early Medieval Georgian Monasteries in Historic Tao, Klarjeti and Šavšeti, Stuttgart, 1992, გვ. 41.

<sup>50</sup> დ. ხოშტარია, შატბერდის (ენი-რაბათის) ეკლესია და კლარჯეთის არქიტექტურის მხატვრულ-ისტორიული პრობლემები, სადოქტორო დისერტაცია. თბილისი, 2004, გვ. 66.

<sup>51</sup> იქვე, გვ. 67.

ეს ყველაფერი ისე გამქრალიყო, რომ კვალიც არ დაეტოვებინა. თუ ენი-რაბათი შატბერდი არ არის, სადღაც სხვაგან უნდა არსებობდეს სახელდაკარგული დიდი მონასტრის ნაშთები მაინც, მაგრამ ისინი XIX-XX საუკუნეების არცერთ მკვლევარსა თუ მოგზაურს არ აღუნიშნავს.<sup>52</sup>

შატბერდისა და ენი-რაბათის იდენტურობა თ. ჟორდანიასა და პ. ინგოროყვას ზემოთმოყვანილ არგუმენტირებულ დებულებებს ეწინააღმდეგება: ენი-რაბათი არტანუჯის აღმოსავლეთითაა და გრიგოლ ხანძთელისა და ბაგრატის ოჯახის მოგზაურობის მარშრუტიც არაბუნებრივი გამოდის, რადგან ერთსა და იმავე გზაზე აქეთ და იქით სიარული ძნელად დასაშვებია. ყოველ შემთხვევაში, „ზედმიწვევით“ არ შეესაბამება მონაცემებს (იხ. რუკა №2).

ენი-რაბათის შატბერდთან იგივეობას საეჭვოდ ხდის აგრეთვე შემდეგი ფაქტობრივი მონაცემები:

ა) ენი-რაბათის საკმაოდ კარგად შემორჩენილ ტაძარში არ არის არცერთი ქართული წარწერა;

ბ) ეკლესიის ინტერიერში დასავლეთის მკლავის ბოლოში მოწყობილი იყო ხის პატრონიკე. ასეთი რამ არაა დაფიქსირებული ტაო-კლარჯეთის არცერთ ეკლესიაში;

გ) დეკორაციული ელემენტები თავმოყრილია იატაკიდან მაღლა. ამით ენი-რაბათი დიდად განსხვავდება რეგიონის სხვა ტაძრებისგან;


დ) ენი-რაბათის ოთხ ნიშას სამაბსიდიან საკურთხეველზე, სამკუთხა ნიშებს გუმბათის ყელში, შვერილ მსხვილ თაროს სარტყელს, თანაბარი სიმაღლის საფასადო თაღებს და ჩრდილო დასავლეთის ტრომპის დეკორს პარალელი არ მოეძებნება ქართულ არქიტექტურაში;

ე) დასავლეთის მკლავში ჩართული ნახევარლიწვებიანი და ბურთულეებიანი ქვები მეცამეტე საუკუნით თარიღდება;

---

<sup>52</sup> იქვე, გვ. 64.

Map No 1  
Map No 1






## რუკა №2

ტაო-კლარჯეთის სურთომობეუბნული ძეგლების რუკა  
შედგენილია თემურ ხუციშვილის  
რედაქციონით.  
არტანუჯის მიდამოები.

## Map №2

Map of architectural monuments  
in Tao-Klarjetu  
Compiled under the guidance  
of Temur Khutsishvili.  
Neighbouring territories of Artanuj.



ენი-რაბათი  
Eni-Rabath





Picture #1. Miniature from Gospel of Jruchi

სურათი №1. ჯრუჭის თხზავის მინიატურა




სურათი №2. სავარგულები აგარასა და ვაზისხევს შორის.  
Picture №2. Chapter lands between Agara and Vaziskhevi






სურათი №3. ბოსელთას ციხე.  
Picture №3. Fortress of Boselta.






სურათი №4. შატბერდის ხეობა, მარცხნივ, მთაზე – ბოსელთას ციხე. ხეობაში  
ჩანს შატბერდის ღვთისმშობლის მონასტერი

Picture №4. Shatberdi gorge, with Fortress of Boselta on the hill on the left and  
Shatberdi the Blessed Virgin Monastery in the gorge.







სურათი №5. შატბერდის მონასტრის სატრაპეზოს ან სკრიპტორიუმის დასავლეთის კედელი.

Picture №5. Western wall of the refectory or scriptorium of Shatberdi Monastery




სურათი №6. შატბერდის ღვთისმშობლის ტაძრის საკურთხევლის აბსიდი.  
Picture №6. Apse of the altar of Shatberdi the Blessed Virgin Monastery





სურათი №7. სენაგი ღვთისმშობლის ტაძართან.  
Picture №7. A cell nearby the Blessed Virgin Monastery






სურათი №8. ღვთისმშობლის ტაძრის სამხრეთის ფრთა.  
Picture №8. Southern porch of the Blessed Virgin-Monastery





სურათი №9 . ღვთისმშობლის ტაძრის კედლის ფრაგმენტები.  
Picture №9 . Ruins of the Blessed Virgin Monastery





სურათი №10. შატერდის ღვთისმშობლის ტაძრის, სატრაპეზოს ან სკრიპტორიუმის და სენაკების მიახლოებითი ანაზომები.

Picture №10. Rough measurements of the refectory, scriptorium and cells of the Blessed Virgin Monastery

ეს მონაცემები მოხმობილია დ. ხოშტარიას დისერტაციიდან.<sup>53</sup>

ამ წინააღმდეგობებს დ. ხოშტარია შემდეგნაირად ხსნის: „შატბერდის (ენი-რაბათის) ხუროთმოძღვარი... წარმოგვიდგება როგორც... მარგინალი, რომელმაც... ისურვა არქიტექტურული აზრის განვითარების მაგისტრალური ხაზისგან ერთგვარად განზე დგომა“.<sup>54</sup>

ჩვენ ამგვარი ახსნა არადამაჯერებელი გვეგონია. უფრო მისაღებია ვ. ჯობაძის მოსაზრება „...არგუმენტი შატბერდის ენი-რაბათთან იდენტიფიკაციის წინააღმდეგ მდგომარეობს ენი-რაბათის გეგმასა და წყობაში, რომლითაც [ენი-რაბათი] XI საუკუნის შუა წლებშია აშენებული... თუმცა გრიგოლ ხანძთელის მიერ აშენებული მონასტრები მოგვიანებით გადაკეთდა და ეს შეიძლება ენი-რაბათსაც ეხებოდეს...“<sup>55</sup> „ენი-რაბათის... არქიტექტურული პლასტიკის... სიახლეები არ ეგუება რეგიონის ხუროთმოძღვრული პრაქტიკის ტრადიციებსა და საერთო ხასიათს და ახსნას საჭიროებს, რაც მომავალი კვლევის ამოცანა უნდა გახდეს“.<sup>56</sup>

ენი-რაბათის შატბერდთან იდენტურობას არ ეთანხმებიან ტაო-კლარჯეთის ცნობილი ფრანგი მკვლევარები ნ. და ჟ.-მ. ტიერები.<sup>57</sup>

შატბერდის შესახებ მოსაზრება გამოთქმული აქვს აკად. ვ. ბერიძესაც „უნდა შევეგუოთ იმას, რომ ნამდვილი შატბერდი ჩვენთვის რეალურად უცნობია“.<sup>58</sup>

თურქული სიტყვა ენი-რაბათი ქართულად ახალ რაბათს ნიშნავს. მეცხრამეტე საუკუნეში ჩამოსახლებული სომხები ამ ადგილს ნორაშენს უწოდებდნენ რაც

---

<sup>53</sup> იქვე, გვ. 144, 142, 223, 257.

<sup>54</sup> იქვე, გვ. 271

<sup>55</sup> W. Djobadze, Early Medieval Georgian Monasteries in Historic Tao, Klarjeti and Šavšeti, Stuttgart, 1992, გვ. 41.

<sup>56</sup> იქვე, გვ. 77.

